Research

სასტუმროს ფასების ინდექსი საქართველოში

დეკემბერი 2025

- **სასტუმროების ფასების ინდექსი გაიზარდა 3, 4 და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროებისთვის და შემცირდა საოჯახო სასტუმროებისთვის, როგორც წინა თვესთან, ასევე წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.**
- **2025 წლის დეკემბერში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი გაიზარდა 4.3%-ით წინა თვესთან შედარებით; ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა მცხთა-მთიანეთში, სამცხე-ჯავახეთსა და თბილისში.**
- **2025 წლის დეკემბერში საქართველოს სასტუმროს ფასების ინდექსი გაიზარდა 3.9%-ით წინა წელთან შედარებით; ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთში, თბილისსა და აჭარაში.**

სასტუმროების საშუალო ფასები

2025 წლის დეკემბერში სასტუმროების საშუალო ფასმა[1] საოჯახო ტიპის სასტუმროებში[2] **99 ლარი შეადგინა**, 3-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **150 ლარი**, ხოლო 4-ვარსკვლავიან სასტუმროებში - **245 ლარი**. 3-ვარსკვლავიანი, 4-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით მოცემულია გრაფიკი 1-ზე.

2025 წლის დეკემბერში საქართველოში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების საშუალო ფასი იყო **504 ლარი**. ყველაზე მაღალი საშუალო ფასები დაფიქსირდა სამცხე-ჯავახეთში - **1040 ლარი**, მცხეთა-მთიანეთში - **1001 ლარი** და თბილისში - **639 ლარი**.



გრაფიკი 1: 2-ადგილიანი ნომრის საშუალო ფასები რეგიონების მიხედვით (2025 წლის დეკემბერში, ლარში)

სასტუმროს ფასების ინდექსი

2025 წლის დეკემბერში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი[3] 7.2%-ით გაიზარდა წინა თვესთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი 1.7%-ით შემცირდა. მთლიანობაში, 2025 წლის დეკემბერში სასტუმროს ფასების ინდექსი 4.3%-ით გაიზარდა 2025 წლის ნოემბერთან შედარებით.

2025 წლის დეკემბერში 3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების ფასების ინდექსი 11.4%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით, ხოლო საოჯახო ტიპის სასტუმროების ფასების ინდექსი 5.2%-ით შემცირდა. მთლიანობაში, 2025 წლის დეკემბერში სასტუმროს ფასების ინდექსი 3.9%-ით გაიზარდა 2024 წლის დეკემბერთან შედარებით.

რეგიონი[4]	3-, 4- და 5-ვარსკვლავიანი		საოჯახო ტიპის		ყველა სასტუმრო	
	დეკემბერი/ თვიური(%)	დეკემბერი/ წლიური (%)	დეკემბერი/ თვიური(%)	დეკემბერი/ წლიური (%)	დეკემბერი/ თვიური(%)	დეკემბერი/ წლიური (%)
კახეთი	2.8%	10.1%	-2.7%	-16.8%	0.4%	-8.4%
იმერეთი	-4.2%	-5.8%	-3.2%	-10.7%	-3.9%	-8.3%
გურია	3.1%	-	2.9%	-	3.0%	-
ქვემო ქართლი	-4.9%	-	-	-	-3.4%	-
აჭარა	0.3%	9.0%	-2.4%	-1.7%	0.0%	6.8%
რაჭა	2.4%	-	-0.5%	-	1.3%	-
შიდა ქართლი	-5.3%	3.5%	-12.6%	10.0%	-8.2%	6.7%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	0.5%	-3.7%	-7.5%	-1.1%	-3.0%	-2.4%
სამცხე-ჯავახეთი	17.2%	80.8%	14.7%	-5.0%	16.5%	39.8%
მცხეთა-მთიანეთი	38.7%	19.6%	-2.3%	-7.4%	23.4%	6.6%
თბილისი	9.4%	8.6%	-1.6%	9.9%	6.8%	8.7%
სულ ფასების % ცვლილება	**7.2%**	**11.4%**	**-1.7%**	**-5.2%**	**4.3%**	**3.9%**

ცხრილი 1: თვიური და წლიური ინდექსების ცვლილება (2025 დეკემბერი)

1 შედეგები მიღებულია საქართველოს 10 რეგიონში და თბილისში 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და საოჯახო ტიპის სასტუმროების სტანდარტული ორადგილიანი ნომრების ფასებზე დაკვირვებით. ანალიზში შედის booking.com-ზე რეგისტრირებული სტრატიფიცირებულად არჩეული 568 3-, 4-, 5-ვარსკვლავიანი და 371 საოჯახო ტიპის სასტუმრო. საშუალო ფასები გამოითვლება მიმდინარე თვეში ხელმისაწვდომი სასტუმროების საშუალებით.

2 საოჯახო ტიპის სასტუმრო - სასტუმრო, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნომრების მცირე რაოდენობა და სადაც სტუმრებს მომსახურებას უწევს ოჯახი.

3 სასტუმროების ფასების ინდექსი გამოითვლება მიმდინარე და საბაზისო პერიოდში ხელმისაწვდომი სასტუმროების მიხედვით, სამომხმარებლო ფასების ინდექსის მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით (CPI: "Theory and Practice", 2004; Practical Guide, 2009).

4 ინდექსები არ არის ნაჩვენები ისეთი რეგიონებისთვის, რომლებისთვისაც მონაცემები მიუწვდომელი ან არასაკმარისია. თუმცა, ყველა მონაცემი გათვალისწინებულია მთლიან რეგიონულ ინდექსში.